

ახალი ფორმულა და ძველი კონტინენტი

თორნიკე შარაშენიძე

გიპას საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი

შემდეგი მისია - “გუგლი“

90-იან წლებში, როცა მსოფლიო საინტერნეტო ბუმმა მოიცვა, მომხმარებელს ახალი ბრენდი მოეგვინა - “ნეთსქეიფი.“ კომპიუტერის მექანიზმებში ტექსტის შესაყვანად “უორდს“ იყენებდნენ, ბიუჯეტის შესადგენად “ექსელს...“ ყველა ეს პროგრამა “მაიკროსოფტს“ ეკუთვნოდა, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის უდავო ლიდერი იყო. იყვნენ კონკურენტებიც – მაგალითად “სანი,” მაგრამ ამ უკანასკნელის პროგრამები უფრო ვიწრო წრის სპეციალისტებზე იყო გათვლილი, მასობრივი მომხმარებელი კი მაინც “მაიკროსოფტის“ უინდოუსს იყენებდა.

მაგრამ ინტერნეტის ბუმმა მსოფლიო ისე მოიცვა, რომ “მაიკროსოფტი“ თამაშსგარეთ დარჩა. მომხმარებელთა უმრავლესობა “ნეთსქეიფის” “ნავიგატორს” ან “კომუნიკატორს” იყენებდა – არა “მაიკროსოფტის” პროდუქტებს. პროგრამული უზრუნველყოფის ლიდერისათვის ამგვარი ვითარება უჩვეულო იყო. ცხადია, “მაიკროსოფტმა“ ინტერნეტში სამუშაოდ თავისი ალტერნატიული პროგრამა შექმნა – “ექსპლორერი.” მაგრამ მომხმარებელი “ნეთსქეიფის” პროდუქტს მიჩვეული (და პროდუქტით კმაყოფილი) იყო და ბაზარზე შესვლა ჭირდა.

მაგრამ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ნეთსქეიფი“ ლამის დღითიდღე კარგავდა ბაზარზე პოზიციებს და “კომუნიკატორისა” და “ნავიგატორის” ადგილს თანდათანობით “ექსპლორერი” იჭერდა. “ნეთსქეიფის” ლიდერებს ეს ტენდენცია ვერაფრით აეხსნათ. მათი პროდუქცია “მაიკროსოფტისას“ წესით არაფრით ჩამოუვარდებოდა და ინტერნეტის დანერგვის დღიდან მომხმარებელის ნდობით სარგებლობდა. თავად “ნეთსქეიფს“ პრობლემა ნამდვილად არ ჰქონდა... მაგრამ როგორც გაირკვა, პრობლემა სულ სხვა მხრიდან იქმნებოდა. ესწრაფოდა რა საინტერნეტო პროგრამების ბაზარზე ლიდერობას, “მაიკროსოფტმა“ ერთობ საინტერესო ხერხს მიმართა. როცა კომპიუტერების მწარმოებელი კომპანიები მისგან “უინდოუსს“ ითხოვდნენ (“უინდოუსით“ ხომ პრაქტიკულად ყველა კომპიუტერია აღჭურვილი), “მაიკროსოფტი“ მათ პაკეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში აწვდიდა, თუკი კომპიუტერებში “უინდოუსთან“ ერთად ინტერნეტის “ექსპლორერიც“ იქნებოდა ჩატვირთული. “უინდოუსის“ გარეშე დარჩენა არავის სურდა, ამიტომ ყველა კომპიუტერის მწარმოებელი იძულებული იყო “ექსპლორერიც“ დაეყენებინა და ისე მიეწოდებინა მომხმარებლისათვის. ამ უკანასკნელს კი რადგან საინტერნეტო პროგრამა უკვე ჰქონდა, “ნეთსქეიფის“ პროდუქციას აღარ იძენდა.

როცა “მაიკროსოფტის“ ამ ხრიკს ფარდა აეხადა, “ნეთსქეიფი“ უკვე საშუალო კომპანიის რანგში ჩამოქვეითდა. “მაიკროსოფტის“ წინააღმდეგ საქმე აღიძრა, რომელიც წლობით გაიწვია, მაგრამ პროგრამული უზრუნველყოფის გიგანტს არანაირი სერიოზული სანქცია არ დაედო. “ნეთსქეიფი“ გაიყიდა, ხოლო “მაიკროსოფტის“ “ექსპლორერი“ დღეს ყველაზე პოპულარული პროგრამაა ინტერნეტში სამუშაოდ. მისია შესრულებულ იქნა.

რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს “გუგლი“ მოეწვინა, რომელიც დაახლოებით ისევე ლიდერობს თავის სფეროში, როგორც თავის დროზე “ნეთსქეიფი“ ლიდერობდა. აშშ-ში ინტერნეტის მომხმარებელთა 48,8% საძიებელ სისტემად სწორედ “გუგლს“ იყენებს. კომპანია წარმატებით ფართოვდება. რამდენიმე ხნის წინ “დაბლ ქლიქი“ შეიძინა, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები არა მხოლოდ საძიებელ სფეროში, არამედ საინტერნეტო გამომცემლობაშიც. “მაიკროსოფტი“ ამოდ ცდილობს კონკურენცია გაუწიოს “გუგლს.“ მისეული “ემესენ ნეტუორქი“ ისეთი პოპულარობით მაინც არ სარგებლობს მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ “ექსპლორერის” თავფურცლადაა ქცეული. მომხმარებელთა უმრავლესობა მაინც “გუგლს“ არჩევს – ამ უკანასკნელით სარგებლობა უფასოა განსხვავებით “ნეთსქეიფისგან.“

მაგრამ “მაიკროსოფტი“ პირველობასაა მიჩვეული. სწორედ ამიტომ კომპანია ახლა “იაჰუს“ შესუდვაზე ფიქრობს. ეს უკანასკნელი ინტერნეტის ყველა მომხმარებლისათვის ცნობილი ბრენდია და სანამ “გუგლი“ გამოჩნდებოდა, საძიებელ სფეროში პირველი ადგილი ეჭირა. მისი შესყიდვით საძიებელ ბაზარზე “მაიკროსოფტის“ წილი 38%-ს გადააჭარბებს. გარდა ამისა, გაძლიერდება “მაიკროსოფტის“ პოზიციები უფასო ელექტრონული ფოსტისა და მყისიერი გზავნილების (ინსტანტ მესინჯერების) სფეროშიც. აქ როგორც “მაიკროსოფტს“, ასევე “იაჰუს“ გააჩნიათ მეტად პოპულარული სერვისები.

დღევანდელი აქციების კურსის მიხედვით “იაჰუ“ 38 მილიარდი დოლარი ღირს. თუმცა, “მაიკროსოფტს“ ალბათ მეტის გადახდა მოუწევს. ბილ გეიტსი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანია, მისი კომპანია კი პროგრამული უზრუნველყოფის ლიდერია და ამ სფეროში “გუგლის“ გარდა კონკურენტები პრაქტიკულად არ არსებობს. ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ “მაიკროსოფტმა“ “იაჰუში“ 50 მილიარდიც გაიღოს. “გუგლს“ ნამდვილად მძიმე ბრძოლა ელის.

თურქეთის გამოცდა – ევროპის მომავალი

საფრანგეთში პრეზიდენტობის ვინაობა წესით დღეს უნდა გაირკვეს. წესით და რიგით პირველობა სარკოზის უნდ ადარჩეს, რომელმაც ტელედებატებში რუაიალს მცირე უპირატესობით აჯობა. ეკონომიკური ჩავარდნის ფონზე მოსახლეობა რეფორმებს ელის და ამ მხრივ მეტ იმედებს მაინც სარკოზიზე ამყარებს. გარდა ამისა, არჩევნების პირველ რაუნდში ბრძოლას გამოთიშულ უკიდურესად მემარჯვენე და ცენტრისტ კანდიდატთა ხმების უმრავლესობა ისევ სარკოზის უნდა დარჩეს.

სარკოზი საგარეო პოლიტიკაში გამოუცდეელია. შესაძლოა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან ბევრი რამ სხვანაირად დაინახოს, ბევრ რამეზე შეიცვალოს აზრი და რამდენიმე წინასაარჩევნო დაპირებასაც გადაუხვიოს. მაგრამ საკითხავია რამდენად გადაუხვევს იგი ერთ განცხადებას, რომელიც არაერთხელ გაიმეორა – საფრანგეთი მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში თურქეთის ევროკავშირში შესვლას მხარს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერს, (მაშინ როცა რუაიალი ამ პერსპექტივას არ გამორიცხავს).

სარკოზის ეს კატეგორიული პოზიცია ნამდვილად არ არბილებს იმ ვითარებას, რომელიც თურქეთში შეიქმნა. სამხედროები ხელისუფლებაში ისლამისტური ძალების გაძლიერების საფრთხეს გრძნობენ და ჩარევით იმუქრებიან.

სამხედროების ჩარევა ნიშნავს, რომ თურქეთი კიდევ დიდი ხნით გადასწევს ევროკავშირში თავისი შესვლის პერსპექტივას – ევროპულ ოჯახში ნამდვილად არ მიიღებენ ქვეყანას, სადაც დემოკრატიისა და სეკულარიზმის დასაცავად სამხედროები არიან საჭირო.

ისლამი და დემოკრატია შეუთავსებელია – ამას ამტკიცებენ ფუნდამენტალისტები და მათი არგუმენტები კიდევ უფრო გამყარდება, თუკი თურქეთი დემოკრატიად არ შედგება. თურქეთი ერთადერთი მსხვილი ისლამური ქვეყანაა, რომელიც დემოკრატიული ნორმებით ცხოვრობს და ევროკავშირში შესვლის ამბიციაც გააჩნია. ქემალ ათათურქის მიერ დანერგილი სეკულარიზმმა და დასავლურმა ნორმებმა ქვეყანა რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და წამყვან ძალად აქცია. ქემალს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს ინგლისელებს ეომებოდა (ხერჩილის ჩაგონებით ისინი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დაკავებას ცდილობდნენ), ომის დასრულებისას კი ბერძნებს (ამ უკანასკნელებს სტამბულზე და კიდევ სხვა ტერიტორიებზე ჰქონდათ პრეტენზია), არ შეიძლებოდა არ დაენახა ერთი რამ – მისი ქვეყანა არამცთუ იმპერიას ვეღარ ინარჩუნებდა, არამედ დაშლის პირას იდგა. თურქეთის შენარჩუნება მხოლოდ ერი-სახელმწიფოს სახით შეიძლებოდა, ერი-სახელმწიფოს განვითარების საუკეთესო მოდელი კი ევროპული განვითარების გზა იყო. თურქეთი ძლიერი იქნებოდა დასავლეთთან ალიანსში, იგი ძლიერი იქნებოდა თუკი დასავლური თამაშის წესებს აითვისებდა. სწორედ დასავლური თამაშის წესების ათვისებით მიაღწია წარმატებას იაპონიამ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. თურქეთსაც იგივე უნდა მოემოქმედებინა. ქემალი 1938 წელს გარდაიცვალა. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს რომ მოსწრებოდა, იგი თვალნათლივ ნახავდა როგორ დამარცხდა იაპონია, რომელმაც იმ პერიოდში დასავლური თამაშის წესებს გადაუხვია და დაუპირისპირდა ისეთ ძალებს, როგორც აშშ და ბრიტანეთია.

ქემალი სამხედრო იყო და მის მემკვიდრეობას სწორედ სამხედროები იცავენ. 1952 წლიდან თურქეთი ნატოს წევრი გახდა და აქედან მოყოლებული მისი დასავლეთთან დაახლოების პროცესი შეუქცევადი ჩანდა. აშშ-ის შემდეგ ნატოს წევრებს შორის თურქეთს ყველაზე დიდი არმია ჰყავს. რაც შეეხება ეკონომიკას, თურქეთი წყლით ამარაგებს ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილს; თურქეთი თხილეულის უდიდესი ექსპორტიორია; თურქეთი ევროპისათვის ერთადერთი ალტერნატიული ენერგოკორიდორია, რომელიც რუსეთს გვერდს უვლის. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზურუმი – ყველა ეს მილსადენი ევროპამდე სწორედ თურქეთის მეშვეობით მიდის. თუკი ევროპას რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირება სურს, თურქეთის ამ როლს კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

საფრანგეთში ალბათ გუშინდელივით ახსოვთ ის მოვლენები, როცა ემიგრანტებმა ლამის ცეცხლს მისცეს რამდენიმე მსხვილი ქალაქი. ევროპულ პრესაში სერიოზული განგაში ატყდა. ბარბაროსები ევროპას ანადგურებენ, ევროპა იღუპება – ასეთი იყო გამოსხმაურებათა შინაარსი. სარკოზი, რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, დებოშში მონაწილეებს მაიმუნები უწოდა. “მაიმუნების“ ექსპანსიას სარკოზი ახლაც ეწინააღმდეგება, მაგრამ ამის გაკეთება რთულია ერთი უბრალო მიზეზის გამო – ევროპა დემოკრატიულობის მაგალითია და კარს ბოლომდე ვერ დაუკეტავს მათ, ვისაც კარგი ანაზღაურება და ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება სურს. არადა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში შობადობის მაჩვენებელი დაბალია (ურბანიზაციის ჩვეულებრივი შედეგი), ხოლო მაღალია ღარიბ სამყაროში, საიდანაც მისწრაფიან ევროპაში

ემიგრანტები, გასაგებია, რომ საფრთხე მართლაც არსებობს. საფრანგეთის მოვლენებმა დაადასტურა, რომ ემიგრანტების გაევროპელება რთული ამოცანაა და ეს ამოცანა მით უფრო რთულდება, რაც უფრო დიდია ამ ემიგრანტთა რიცხვი.

მაგრამ თუკი ევროკავშირი თურქეთს მიიღებს, ვითარება შეიცვლება. თურქეთი შესაძლოა ბოლომდე ევროპული ქვეყანა არ იყოს, მაგრამ ეს ის ქვეყანაა, რომელსაც გაევროპელება ნამდვილად სურს და რომელიც ევროპას ნამდვილად არ შეუქმნის იმ საფრთხეს, რასაც მას “ბარბაროსები“ უქმნიან. თურქეთი ევროპისათვის ახალი სისხლი იქნება. მაგრამ იმისათვის, რომ ევროკავშირში მოხვდეს, ამ ქვეყანამ ახლა სერიოზული გამოცდა უნდა ჩააბაროს – დემოკრატიისა და სეკულარიზმის დაცვა, ოღონდ როგორმე სამხედროთა ჩარევის გარეშე.

ძალოვანების ხელისუფლება+ენერგეტიკა=დიდ იმპერიას

გასულ კვირას “იუკოსის“ ნარჩენი ქონების აუქციონზე როგორც მოსალოდნელი იყო, “როსნეფტმა“ იმარჯვა. ეს კომპანია, რომლის შესახებაც წლების წინ არავის სმენოდა, რუსეთის უმსხვილესი ნავთობმწარმოებელი ხდება. ამ წარმატების უკან არანაირი მენეჯერული ინოვაციები არ დგას. უბრალოდ, “როსნეფტი“ “იუკოსის“ ხარჯზე შეიქმნა და მის ხარჯზე გაიზარდა.

ჯერ კიდევ ორი წლის წინ “როსნეფტი“ რუსეთში სიდიდით მერვე ნავთობმწარმოებელი იყო. მაგრამ ადრე “იუკოსის“ კუთვნილი “იუგანსნეფტგაზის“ ყიდვის შემდეგ ლიდერთა სამეულში აღმოჩნდა.

რუსეთის ბაზარზე ლიდერობა წლების განმავლობაში “ლუკოილს“ ეპყრა. კომპანიას მხოლოდ დროებით შეექმნა პრობლემები, როცა “იუკოსი“ აღზევდა. “იუკოსი“ გაქრა, მაგრამ მისი აქტივები ორ კომპანიაზე გადაანაწილდა - “გაზპრომსა“ და “როსნეფტზე“.

გასულ კვირას “როსნეფტმა“ “ტომსკნეფტი“ ჩაიგდო ხელში და “ლუკოილს“ გადაუსწრო. მოსახდენი მოხდა და ახლა უკვე თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთის ნავთობისა და გაზის წარმოება პრაქტიკულად მთლიანად კრემლის კონტროლის ქვეშ მოექცა. რაც შეეხება, “ლუკოილს“, ისიც პუტინის ფავორიტი კომპანიაა.

პუტინი მომავალ წელს ალბათ დატოვებს პრეზიდენტის პოსტს. სავარაუდოდ მას ივანოვი შეცვლის, მედვედევი კი პრემიერ-მინისტრის სავარძელს დაიკავებს. ამ დასკვნამდე სპეციალისტები ორი ყველაზე რეალური მემკვიდრის ინტერვიუთა ანალიზის გზით მივიდნენ: ივანოვი საკუთარ თავს უფლებას აძლევს სხვა ყველაფერთან ერთად რუსეთის საგარეო პოლიტიკაზეც ისაუბროს. მედვედევი კი შიდა ეკონომიკის საკითხებით შემოიფარგლება ხოლმე. მემკვიდრეებს პუტინი სულ სხვა რუსეთს უტოვებს – ძალაუფლებას ძალოვანები აკონტროლებენ, მეს-მედია კრემლიდან იმართება, ასევე კრემლიდან იმართება ქვეყნის უზარზარო ენერგორესურსები და უახლოესი წლების განმავლობაში (ალბათ მანამდე, სანამ ნავთობს რაიმე ალტერნატივა არ გამოენახება, ხოლო ევროპა რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას არ შეამცირებს) არაერთ მილიარდს მოიტანს. ეს მილიარდები კი კი შეიძლება უცხოურ კომპანიათა აქციებში დაბანდდეს ეს ხომ უფრო იაფი და იოლია, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში ეკონომიკის დარგების

თანაბარი განვითარება. ასეთ განვითარებას კონკურენცია და დემოკრატია სჭირდება, დემოკრატია კი...

ოდესღაც ლენინმა თავის თანამედროვეებს ასეთი ფორმულა შესთავაზა: კომუნიზმი=საბჭოთა ხელისუფლებას+ელექტრიფიკაცია. დღევანდელ რუსეთსაც იგივე ფორმულას სთავაზობენ, ოღონდ საბჭოთა ხელისუფლების ნაცვლად ძალოვანთა ხელისუფლება გვაქვს. რაც შეეხება, კომუნიზმს, ის სხვა არაფერი იყო თუ არა რუსული იმპერიის შირმა.

ლენინის ფორმულამ კომუნიზმი ვერ ააშენა, ვნახოთ რა ბედი ეწევა ახალ ფორმულას.